სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 24 ოქტომბერი, 2023
სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
მისამართი: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1.
სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, თორნიკე ბაქრაძე, ინგა სეხნიაშვილი, რაისა ლიპარტელიანი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ანა ქიტიაშვილის, ანა ყოჩიაშვილის, ნანა თოფურიას, სალომე მახათელაშვილის, ბეჟან ნემსაძის, მარი ბასილაშვილის და ლაშა გუგავას განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანა ქიტიაშვილის, ანა ყოჩიაშვილის, ნანა თოფურიას, სალომე მახათელაშვილის, ბეჟან ნემსაძის, მარი ბასილაშვილის და ლაშა გუგავას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

(ბ) ალექსანდრე ნინოშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, "პროფესიული ადაპტაციის პროგრამის" დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ალექსანდრე ნინოშვილის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

მარინე ქაჩიბაიას, ნინო ჯეგბაშვილის, მაიკო ნიკოლაიშვილის, მამუკა მიქავას, ლაშა ჭოლაძის, ნანა ვეკუას, ელისო ონიანის, გიორგი გონგაძის, ანა ეხვაიას და ელენე ტოგონიძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს მარინე ქაჩიბაიას, ნინო ჯეგბაშვილის, მაიკო ნიკოლაიშვილის, მამუკა მიქავას, ლაშა ჭოლაძის, ნანა ვეკუას, ელისო ონიანის, გიორგი გონგაძის, ანა ეხვაიას და ელენე ტოგონიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ მერი აღაპიშვილის, ნანა ბღარაშვილის, ეთერ კუტიბაშვილის, თორნიკე გვენეტაძის, გოგა კიკილაშვილის, ნინო შარმანაშვილის, თამარ გუნიავას და გიორგი გვარამაძის განცხადებებს "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს მერი აღაპიშვილის, ნანა ბღარაშვილის, ეთერ კუტიბაშვილის, თორნიკე გვენეტაძის, გოგა კიკილაშვილის, ნინო შარმანაშვილის, თამარ გუნიავას და გიორგი გვარამაძის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 6. ა(ა)იპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრო ბონო ცენტრის დაფუძნება, წესდების განხილვა-დამტკიცება, გამგეობის თავმჯდომარისა და წევრების არჩევა.

თავმჯდომარემ აღმასრულებელი საბჭოს წევრებს გააცნო ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრო ბონო ცენტრის" შექმნის მიზანი, ამოცანები და წესდების პროექტი.

სხდომაზე დამსწრე წევრები გაეცნენ წარმოდგენილი წესდების პროექტს. აღმასრულებელი საბჭოს წევრების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრო ბონო ცენტრის" გამგეობის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 7 წევრით. წესდების პროექტთან დაკავშირებით სხვა განსხვავებული მოსაზრებები თუ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომაზე განიხილეს ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრო ბონო ცენტრის" გამგეობის თავმჯდომარისა და წევრების არჩევის საკითხი. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი - გიორგი ჭეხანი, რომელიც ესწრებოდა აღმასრულებელი საბჭოს სხდომას და გამოთქვა შესაბამისი თანხმობა. აღმასრულებელი საბჭოს წევრებიც დაეთანხმნენ თავმჯდომარის მიერ შეთავაზებულ კანდიდატურას.

ამასთან, აღმასრულებელი საბჭოს წევრთა მხრიდან ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრო ბონო ცენტრის" გამგეობის წევრების კანდიდატებად დასახელდნენ შემდეგი პირები: თორნიკე ბაქრაძე (ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი); რაისა ლიპარტელიანი (ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი); ინგა სეხნიაშვილი (ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი); მარიამ კუბლაშვილი (ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი); სალომე ტყეშელაშვილი (ასოციაციის სასწავლო ცენტრის

დირექტორი); გიორგი თევზაძე (ასოციაციის პროფესიის სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტის თავმჯდომარე).

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დაფუძნდეს ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრო ბონო ცენტრი“.

2. დამტკიცდეს ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრო ბონო ცენტრის“ წესდება წარმოდგენილი სახით (დანართი N1).

3. ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრო ბონო ცენტრის“ გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ: გიორგი ჭეხანი (პ/ნ: 01011055533), სალომე ტყეშელაშვილი (პ/ნ: 01024073555), თორნიკე ბაქრაძე (პ/ნ: 01017012406), ინგა სეხნიაშვილი (პ/ნ: 01009007765), მარიამ კუბლაშვილი (პ/ნ: 1009007765), რაისა ლიპარტელიანი (პ/ნ: 01010010473) და გიორგი თევზაძე (პ/ნ: 01017008683).

4. ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრო ბონო ცენტრის“ გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს - გიორგი ჭეხანი (პ/ნ: 01011055533).

საკითხი 7. ადვოკატთა ნებაყოფლობითი დარგობრივი სპეციალიზაციის სისტემის წარდგენა, შესაბამისი დებულების განხილვა-დამტკიცება და დებულების საფუძველზე ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების მიზნით ინტერესთა გამოხატვისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცება.

თავმჯდომარემ წევრებს შეახსენა იმ ინიციატივის თაობაზე, რომელიც ადვოკატთა კვალიფიკაციის შემდგომი ზრდისა და საქართველოში ხარისხიანი მართლმსაჯულების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ითვალისწინებს ადვოკატთა ნებაყოფლობითი დარგობრივი სპეციალიზაციის სისტემის დანერგვას. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ნებაყოფლობითი სპეციალიზაციის სისტემა დაფუძნებული უნდა იყოს გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში მოქმედი დარგობრივი ვიწრო სპეციალიზაციის მოდელებზე, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე არსებული თავისებურებების გათვალისწინებით. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ინიციატივის განხორციელების მიზნით, ასოციაციის აპარატმა მოამზადა შესაბამისი დებულება.

აღმასრულებელმა მდივანმა საბჭოს წევრებს გააცნო ადვოკატთა ნებაყოფლობითი დარგობრივი სპეციალიზაციის სისტემა, შესაბამისი დებულება და დებულების საფუძველზე ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭების მიზნით საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

საბჭოს წევრები დეტალურად გაეცნენ სხდომაზე წარმოდგენილ დებულებას. დაისვა კითხვები და გაცემულ იქნა პასუხები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ნებაყოფლობითი დარგობრივი სპეციალიზაციის დებულება, სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

საკითხი 8. 2023 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღების განსაზღვრა.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღებად 13, 14, 16 დეკემბრის და გასაჩივრების თარიღად 17 დეკემბრის განსაზღვრის შესახებ.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: 2023 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღებად განისაზღვროს 2023 წლის 13, 14, 16 დეკემბერი; ხოლო გასაჩივრების თარიღად 2023 წლის 17 დეკემბერი.**

საკითხი 9. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-10 ნაკადის მონაწილეთა სიის დამტკიცება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2023 წლის 31 აგვისტოდან 29 სექტემბრამდე მიმდინარეობდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე მსურველთა რეგისტრაცია. ჯამში დარეგისტრირდა 174 მონაწილე, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-5 მუხლის, 5.8 პუნქტის თანახმად, განმცხადებელთა სიას ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით და მათ მიენიჭოთ პროგრამის მონაწილის სტატუსი (დანართი N 3).

საკითხი 10. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ დარეჯან სალდაძის, გოგიტა ბახტაძის, გიორგი ტაბატაძის, ნინო ჯიშკარიანის, იზოლდა მელიქიშვილის, ნინო ხოლუაშვილის, ილონა დიასამიძის რევაზ აჭარაძის, ნინო ჯიშკარიანის და გიორგი ტაბატაძის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დარეჯან სალდაძის, გოგიტა ბახტაძის, გიორგი ტაბატაძის, ნინო ჯიშკარიანის, იზოლდა მელიქიშვილის, ნინო ხოლუაშვილის, ილონა დიასამიძის რევაზ აჭარაძის, ნინო ჯიშკარიანის და გიორგი ტაბატაძის კანდიდატურები.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 11. შპს კარდინალ აკადემის კურსის აკრედიტაციის განაცხადის განხილვა.

წევრები გაეცნენ შპს კარდინალ აკადემის კურსის აკრედიტაციის განაცხადებას.

მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს საჭირო დოკუმენტაცია და აკმაყოფილებს აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

(1) დაკმაყოფილდეს შპს კარდინალ აკადემის განცხადება კურსის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

(2) გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(3) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

საკითხი 12. მარიამ სხულუხიას, მარიამ მაჩაიძის, ანა კოტეტიშვილის და ამირან ხუციშვილის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) მარიამ სხულუხიას და მარიამ მაჩაიძის განცხადებებს ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (1) დაკმაყოფილდეს მარიამ სხულუხიას და მარიამ მაჩაიძის განცხადებები ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს მარიამ სხულუხიას და მარიამ მაჩაიძის კანდიდატურები ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრად.

(2) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

(ბ) ამირან ხუციშვილის განცხადებას სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (1) დაკმაყოფილდეს ამირან ხუციშვილის განცხადება სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.5 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს ამირან ხუციშვილის კანდიდატურა სისხლის სამართლის კომიტეტის წევრად.

(2) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

(გ) ანა კოტეტიშვილის განცხადებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების შესახებ.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ წარმოდგენილი განცხადების განხილვა გადადებულიყო მომდევნო საბჭოს სხდომაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ანა კოტეტიშვილის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების შესახებ, გადაიდოს მომდევნო საბჭოს სხდომაზე.

საკითხი 13. ადვოკატთა პროფესიული უფლებების კომიტეტის მომართვის განხილვა.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა პროფესიული უფლებების კომიტეტის 2023 წლის 17 ოქტომბრის მომართვას, მანუჩარ ზოიძის განცხადებასთან დაკავშირებით.

წევრებმა განაცხადეს, განცხადებაში მითითებული გარკვეული საკითხები სცდება აღმასრულებელი საბჭოს კომპეტენციას, ხოლო ზოგიერთი გარემოება საჭიროებს დამატებით დაზუსტებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული ადვოკატთა პროფესიული უფლებების კომიტეტის 2023 წლის 17 ოქტომბრის მომართვა, ამავე კომიტეტს დაევალოს გარკვეული გარემოებების დაზუსტება, ხოლო საკითხის განხილვა ამჯერად, მოიხსნას დღის წესრიგიდან.

საკითხი 14. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ლია ნადოლსკის განცხადებას წევრობის შეჩერების და საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ლია ნადოლსკის მომართული ჰქონდა საწევრო დავალიანების გადავადების მოთხოვნით. აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით მას საწევრო დავალიანების გადახდა გადაუვადდა არაუგვიანეს 2023 წლის 30 სექტემბრამდე. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის გამო, ლია ნადოლსკის შეუწყდა ასოციაციის წევრობა.

ლია ნადოლსკიმ წევრობის შეჩერების და საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებით მომართა ადვოკატთა ასოციაცია 2023 წლის 05 ოქტომბერს.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ლია ნადოლსკის წევრობის შეჩერების და საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადება, მაშინ, როცა მას უკვე შეწყვეტილი აქვს ასოციაციის წევრობა საწევრო დავალიანების გამო.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ლია ნადოლსკის განცხადება.

(ბ) ზაზა სილაგაძის და რატი ტაბატაძის საწევრო შეღავათის გავრცელების და წევრობის აღდგენის შესახებ განცხადებებს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზაზა სილაგაძეს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეწყვეტილი ჰქონდა აღმასრულებელი საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით. ზაზა სილაგაძის საწევრო დავალიანება შეადგენდა 200 (ორასი) ლარს.

განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს ვეტერანის და დევნილის მოწმობა, რომლითაც ითხოვს საწევრო შეღავათის გავრცელებას და წევრობის აღდგენას. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზაზა სილაგაძეს გადახდილი აქვს საწევრო დავალიანება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

წევრებს ასევე, მიეწოდათ ინფორმაცია, რომ რატი ტაბატაძეს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეწყვეტილი ჰქონდა აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით. რატი ტაბატაძის საწევრო დავალიანება შეადგენდა 400 (ოთხასი) ლარს.

განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს რეგიონში გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის საფუძველზეც ითხოვს საწევრო შეღავათის გავრცელებას და წევრობის აღდგენას.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1-ლი თებერვლის, 2007 წლის 31 მაისის, 2010 წლის 19 მაისის, 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებებში და განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები ისარგებლებენ საწევრო შეღავათებით. ასევე, აღინიშნა, რომ დევნილის და ვეტარანის სტატუსი მქონე წევრები საწევრო შეღავათით სარგებლობდნენ, მათ შორის 2011 წელს. შესაბამისად ზაზა სილაგაძის და რატი ტაბატაძის განცხადებები ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ზაზა სილაგაძის და რატი ტაბატაძის განცხადებები.

(დ) ივანე იორამაშვილის 2021, 2022 წლების საწევრო დავალიანების გადახდისგან გათავისუფლების და 2023 წლის საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებას.

განმცხადებლის განმარტებით მას აქვს გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობა, რის გამოც არ განუხორციელებია საადვოკატო საქმიანობა და ითხოვს 2021 და 2022 წლების საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლებას და 2023 წლის საწევრო დავალიანების გადავადებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ივანე იორამაშვილს ჰქონდა 2021, 2022 და 2023 წლების საწევრო დავალიანება ჯამში 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს განცხადებაში მითითებული მოთხოვნის -

საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე, ხოლო საწევრო დავალიანების გადავადების ნაწილში ივანე იორამაშვილის განცხადება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და დავალიანების გადახდა გადაუვადდე 2023 წლის 15 ნოემბრამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 1. სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს ივანე იორამაშვილის განცხადება საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

2. განმცხადებელს საწევრო დავალიანების გადახდა გადაუვადდეს 2023 წლის 15 ნოემბრამდე.

(ე) ნანა რევაზიშვილის, ნათელა სხულუხიას და თემურ გიკაშვილის განცხადებებს, სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვებისგან გათავისუფლების შესახებ.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ განგრძობადი იურიდიული განათლების წესები ითვალისწინებს შეღავათს წევრებზე, რომლებიც განცხადებით მომართვის შემთხვევაში, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გათავისუფლდნენ სავალდებულო კრედიტსაათების დაგროვების ვალდებულებისგან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნანა რევაზიშვილის, ნათელა სხულუხიას და თემურ გიკაშვილის განცხადებები.

(ვ) ავთანდილ ჩულაშვილის და მარიამ ადამაშვილის განცხადებებს, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიულ კურსზე გაცდენილი საათების საპატიოდ ჩათვლის შესახებ.

წევრები გაეცნენ ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის მონაწილეების ავთანდილ ჩულაშვილის და მარიამ ადამაშვილის განცხადებებს სხვადასხვა საფუძვლის მითითებით, გაცდენილი საათების საპატიოდ ჩათვლის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ როგორც პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ზედამხედველობაზე უფლებამოსილი ორგანო, აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია ინდივიდუალურად განიხილოს წინამდებარე განცხადებები და მითითებული გარემოებების შეფასების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება გაცდენილი საათების საპატიოდ ჩათვლის თუ გაცდენილი საათების აღდგენის შესაძლებლობის მიცემის თაობაზე.

შესაბამისად, საბჭოს წევრები სათითაოდ გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ავთანდილ ჩულაშვილის და მარიამ ადამაშვილის განცხადებები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, განმცხადებლებს მიეცეთ შესაძლებლობა მათ მიერ გაცდენილი

თეორიული კურსის საათები აღადგინონ 2023 წლის საშემოდგომო ნაკადზე, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების პარალელურად.

(ზ) მარიამ დუმბაძის, ანა ბერიას და გვანცა ბერაძის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის შესახებ განცხადებებს.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანახმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ დუმბაძის, ანა ბერიას და გვანცა ბერაძის განცხადებები და ეცნობოთ გადაწყვეტილების შესახებ.

(თ) სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის მარიამ მაძღარაშვილის და სტაჟიორ თეონა ულუმბელაშვილის განცხადებებს.

წევრები დეტალურად გაეცნენ სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის მარიამ მაძღარაშვილის და სტაჟიორ თეონა ულუმბერაშვილის განცხადებებს.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-10 მუხლის, 10.10 პუნქტის თანახმად, სტაჟირების ხელმძღვანელს და ამავე დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანახმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადონ უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და თავის მხრივ, სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატს უფლება აქვს მოითხოვოს სტაჟირების შეწყვეტა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სტაჟიორ თეონა ულუმბელაშვილის და სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის მარიამ მაძღარშვილის განცხადებები.

(ი) ისრაელის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მომართვას.

წევრები დეტალურად გაეცნენ ისრაელის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მომართვას. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ აღნიშნული საკითხი, შემდგომი შესწავლის მიზნით, გადაცემოდა ასოციაციის აღმასრულებელ მდივანს.

წევრები დაეთანხმნენ თავმჯდომარის მიერ შეთავაზებულ წინადადებას და **აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ისრაელის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მომართვა, შემდგომი შესწავლის მიზნით, დაევალოს ასოციაციის აღმასრულებელ მდივანს.**

(კ) რობიზონ ხურცილავას კომიტეტის წევრობის შეწყვეტის შესახებ განცხადებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ რობიზონ ხურცილავა არის იმერეთის ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტის წევრი. რობიზონ ხურცილავამ ადვოკატთა ასოციაციას მომართა განცხადებით და მოითხოვა აღნიშნული კომიტეტის წევრობის შეწყვეტა.

წევრებმა განაცხადეს, რომ კომიტეტის დებულების მე-6 მუხლის 6.5 პუნქტის თანახმად, კომიტეტის წევრს შეიძლება ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილება, პირადი განცხადების საფუძველზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: იმერეთის ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტის დებულების მე-6 მუხლის 6.5 პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს რობიზონ ხურცილავას განცხადება.

(ლ) თამთა ჭანტურიას განცხადებას.

განმცხადებელს წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომლის თანახმადაც დგინდებოდა, რომ მან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა 2013 წლის 04 დეკემბერს, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით. განმცხადებელი, ასევე, განმარტავდა, რომ იგი 2014 წლიდან დასაქმებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურისტის, ხოლო 2018 წლიდან დღემდე ამავე სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

განმცხადებელი ითხოვდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე რეგისტრაციის შედეგად სერტიფიკატის ვადის შეჩერებას, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შეუძლებლობის შემთხვევაში, ხომ არ დასჭირდებოდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თავიდან გავლა, საკვალიფიკაციო გამოცდის თავიდან ჩაბარების შემთხვევაში.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განმარტეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული გამოცდის ჩაბარებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას. ხოლო, ამავე კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ ადვოკატთა, მოსამართლეობის ან/და პროკურატურის შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 (ათი) წელი და იგი დადგენილი წესით არ გაწევრიანებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ან არ გამწესებულა მოსამართლედ ან პროკურორად. შესაბამისად, ადვოკატთა

ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, მოკლებულია შესაძლებლობას შეაჩეროს საკვალიფიკაციო გამოცდის კანონით დადგენილი 10 (ათი) ვადა.

საბჭოს წევრებმა ასევე, განაცხადებს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც: 1. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება; 2. ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ამ კანონით დადგენილი წესით ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის/პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა; 3. გავლილი აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომელიც 1-წლიანია და შედგება თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს თამთა ჭანტურიას განცხადება, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის ვადის შეჩერების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე